პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 93 (4087)

1970 წ. 14 მაისი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## საბჭოთა კალათბურთელები ფინალში გავიდნენ



კარლოვაცი, 12 მაისი. 71:53 — სსრ კავშირის ნაკრებმა ასეთი ანგარიშით მოიგო თავისი პირველი მატჩი კალათბურთელ ვაჟთა VI მსოფლიო ჩემპიონატში. მისი მეტოქე იყო სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი — ურუგვაის ნაკრები. მიუხედავად ანგარიშში ამ საკმაოდ მნიშვნელოვანი უპირატესობისა, გამარჯვება იოლად არ მოსულა (სხვათა შორის, წინა მსოფლიო პირველობაში საბჭოთა გუნდმა ურუგვაის ნაკრებს ზუსტად სამჯერ ნაკლები უპირატესობით აჯობა). მართალია, მეორე ტაიმის შუა პერიოდში ანგარიში 40:40 იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მატჩის ბედი მაინც ეჭვს არ იწვევდა. საბჭოთა კალათბურთელებმა თამაში როგორღაც ვერააწყვეს. მატჩი დაიწყეს პაულაუსკასმა, კოვალენკომ, საკანდელიძემ, კრიკუნმა და ა. ბელოვმა. მე-2 წუთზე ანგარიში გახსნეს ურუგვაელებმა, შემდეგ კი ელექტროტაბლოს ორ კვადრატზე თითქმის გამუდმებით ერთნაირი ციფრები იწერებოდა.

სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელები ა. გომელსკი და ი. ოზეროვი მოთამაშეებს ცვლიდნენ (გამოვიდნენ ანდრეევი, ტომსონი, ზასტუხოვი, ჟარმუხამედოვი და ს. ბელოვი), წუთშესვენებებსაც იღებდნენ, მაგრამ მეტოქეებს საიმედოდ ვერა და ვერ გაუსწრეს. ბურთი კალათის გასწვრივ მიფრინავდა, კომბინაციები არ გამოდიოდა, სცოდავდა დაცვა.

კიდევ კარგი, ჩაკეტეს ურუგვაელი არესტია (იგი სიმაღლით 199 სანტიმეტრია), რომელმაც არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის ნაკრებთან მატჩში თავის გუნდს 40 ქულა მოუტანა (ამჯერად მან სულ 10 ქულა მოაგროვა). სამაგიეროდ, მეტოქის მეორე სნაიპერმა ფერნანდესმა ორთაბრძოლაში აჯობა ანდრეევს, რომელიც მასზე თითქმის ნახევარი მეტრით მაღალია. ურუგვაელი ბურთს ბურთზე აგდებდა კალათში და საბოლოო ჯამში 22 ქულა დააგროვა. ურუგვაის გუნდში ყველაზე მაღალი კალათბურთელი ტანად 2 მეტრია, მაგრამ საბჭოთა „გოლიათები" ხშირად აგებდნენ ფარქვეშ ბრძოლას.

სსრ კავშირის ნაკრებმა პირველი ტაიმი დაამთავრა მინიმალური უპირატესობით — 32:30.

შესვენების შემდეგ მოედანზე გამოვიდნენ ორივე ბელოვი, ანდრეევი, პაულაუსკასი და ზასტუხოვი. ისინი შეცვალეს ტომსონმა, ლიპსომ და სიდიაკინმა. საბჭოთა ნაკრების შემადგენლობის თანაბრობამ ბოლოს და ბოლოს შედეგი გამოიღო. ურუგვაის გუნდში 5-5 პერსონალური შენიშვნა მიიღეს არესტიამ, პიზანომ, რომელიც გუნდში სიმაღლით მესამეა, და ფერნანდესმა. მათი „დუბლიორები" კი აშკარად უფრო სუსტად თამაშობდნენ. გარდა ამისა, ურუგვაელები ბევრად უფრო დაიღალნენ. წინააღმდეგობა შესუსტდა და საბჭოთა გუნდი სწრაფად დაწინაურდა. ჩვენი ყველაზე შედეგიანი მოთამაშეები იყვნენ ანდრეევი (12 ქულა), პაულაუსკასი (10) და ს. ბელოვი (9).

სსრ კავშირი—ურუგვაის მატჩი ორშაბათს, გვიან საღამოს დამთავრდა. მანამდე კი პანამის გუნდმა გაუჭირველად (ფაქტიურად, მეორე შემადგენლობით) აჯობა არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის კოლექტივს — 107:77 (43:31). პანამელებმა ერთი სიურპრიზი შემოგვთავაზეს: მათ შეჯიბრების ბილეთები უყიდეს კარლოვაცის რამდენიმე ათეულ ნორჩ მცხოვრებს, რომლებიც მთელი მატჩის განმავლობაში ხმამაღლა გაჰყვიროდნენ „პა-ნა-მა", აფრიალებდნენ პანამის დროშებს, რომლებიც, რასაკვირველია, იმავე დელეგაციისგან ჰქონდათ მიღებული. მაგრამ საქმეს, რა თქმა უნდა, მარტო „მოსყიდული" გულშემატკივრების ქომაგობა არ უშველიდა. პანამის ნაკრებში ტანადი, ტექნიკური, სწრაფი, ფიზიკურად ძლიერი ზანგი კალათბურთელები თამაშობენ. დღეს სწორედ ამ გუნდთან შეხვედრაში სსრ კავშირის ნაკრებმა გაიმარჯვა ანგარიშით 110:52 (42:23). ეს ანგარიში ჯერჯერობით ყველაზე დიდია ჩემპიონატში.

ამ გამარჯვებით საბჭოთა ნაკრებმა ვადამდე გაინაღდა ფინალის საგზური.

წინადღით ურუგვაელებთან საკმაოდ უნიათო თამაშის შემდეგ, ახლა მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. მოედანზე თითქოს სხვა კოლექტივი იყო: თავის თავში დარწმუნებული, სწრაფი, ზუსტი. პირველი ბურთი პანამელებმა მხოლოდ მე-3 წუთზე ჩააგდეს, შემდეგი კი მერვეზე. ანდრეევი ორივე ფარქვეშ მეფობდა და მეტოქეს გზას უღობავდა. მისი პარტნიორები სასტარტო ხუთეულში — პაულაუსკასი, საკანდელიძე, ს. და ა. ბელოვები ასევე უზადოდ თამაშობდნენ.

მოედანზე ყველა საბჭოთა მოთამაშე გამოვიდა. თავი გამოიჩინა ნაკრების დებიუტანტმა, მოსკოველმა ა. სიდიაკინმა, რომელმაც ბევრჯერ აჯობა ფარქვეშ ბრძოლაში მეტოქეს და ყველაზე მეტი ქულა (17) შესძინა გუნდს. 2 ქულით ნაკლები აქვს პაულაუსკასს, 12-12 — ანდრეევს, ლიპსოს და ჟარმუხამედოვს.

პანამელებიც სულ სხვაგვარად თამაშობდნენ, ვიდრე არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის კოლექტივთან. ათლეტური აღნაგობის სპორტსმენებმა საბჭოთა კალათბურთელთა წინაშე თითქოს დაკარგეს ჩვეული ოსტატობა, მათმა საუკეთესო სნაიპერმა პერალტამ კი სულ 10 ქულა მოაგროვა.

პანამის გუნდის ნორჩმა გულშემატკივრებმა თავიდან „კონცერტები" გამართეს, მაგრამ შემდეგ დაწყნარდნენ. რაღას იზამდნენ!

სსრ კავშირი—ურუგვაის მატჩის შემდეგ მიმომხილველები წერდნენ, რომ საბჭოთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ა. გომელსკი გუნდის ძალას ნიღბავსო. ახლა მათ შეუძლიათ თქვან, რომ არ შემცდარან. მაგრამ ეშმაკობა აქ არაფერ შუაშია. ამ ჩემპიონატისთვის საბჭოთა ნაკრების მზადება ისე წარიმართა, რომ დღევანდელი შემადგენლობით გუნდი იშვიათად თამაშობდა და არც ძლიერი სპარინგპარტნიორები ჰყავდა, თუ პოლონეთის გუნდს არ ვიგულისხმებთ. ურუგვაელებთან შეხვედრა მისთვის პირველი სერიოზული გამოცდა იყო.

13 მაისს, გვიან საღამოს, საბჭოთა კალათბურთელები არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის ნაკრებს ხვდებიან. მათს ქვეჯგუფში ეს ბოლო მატჩია. შეხვედრის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე გაირკვევა, ვინ მიიღებს ფინალის მეორე საგზურს — ურუგვაელები თუ პანამელები. ფინალში უკვე გაინაღდეს ადგილები აშშ-ს, ბრაზილიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებმა. მოგაგონებთ, რომ ლიუბლიანაში ითამაშებს იუგოსლავიის ნაკრებიც, ჩემპიონატის ბოლო მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან სსრ კავშირისა და იუგოსლავიის კოლექტივები.

• • •

სარაევოში აშშ-ს ნაკრებმა დაამარცხა ავსტრალიის გუნდი — 99:62 (44:30). ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენებმა მოუგეს კუბელებს — 82:60 (39:35).

სპლიტში იტალიის კალათბურთელებმა გამარჯვება მოიპოვეს კანადის ნაკრებთან — 84:69 (45:35).



ქალაქ ხოლმსკის (სახალინი) მცხოვრებლებმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს. ტრესტ „სახალინმორსტროის" მშენებლებმა საექსპლოატაციოდ გადასცეს 25-მეტრიანი საცურაო აუზი. იგი სახალინის ნაოსნობის, აგრეთვე, თევზსაჭერი ფლოტის საზღვაო სამმართველოს ზეგეგმითი შემოსავლის თანხებით აიგო.

აუზთან გახსნილია ბავშვთა სპორტული სკოლა. მის განკარგულებაშია ცისფერი ბილიკები, ტანვარჯიშის დარბაზები და სასწავლო ოთახები.

ს უ რ ა თ ზ ე: ბავშვთა სპორტული სკოლის მეცადინეობა.

ნ. ჩერნიშის (ტას-ი) ფოტო.

### 20 4/5

კაპფენბერგი, 13 მაისი. ევროპის მოჭადრაკე ვაჟთა გუნდური ჩემპიონატის II ტურის შემდეგ 13 ქულითა და 1 გადადებული პარტიით დაწინაურდა საბჭოთა კავშირის ნაკრები (თითოეულ გუნდში 10 მოთამაშეა). II ადგილზეა იუგოსლაველთა კოლექტივი — 12 ქულა, III-IV ადგილებს იყოფენ გდრ-ისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები — 11-11. II ტურში საბჭოთა მოჭადრაკეებმა სძლიეს უნგრელებს — 6:3 (ერთი პარტია გადაიდო). შეჯიბრებაში მონაწილეობენ, აგრეთვე, ბულგარეთის, დანიისა და ესპანეთის კოლექტივები.

## პირველი, წვიმიანი ეტაპი

პრაღა, 13 მაისი. ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში გუშინ სტარტი აიღო მშვიდობის ტრადიციულმა ველორბოლამ, რომელიც სამი ქვეყნის — ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გზებზე გაივლის.

ამ საინტერესო, მაგრამ ერთობ რთული შეჯიბრების მონაწილეებს პირველივე ეტაპზე იწვნიეს სტიქიის შემოტევა — მთელი გზა კარლოვი ვარამდე (130 კმ) წვიმდა, ქროდა ძლიერი ქარი, საგრძნობლად ციოდა. მიუხედავად ამისა, ველოსიპედისტებმა ავტომობილის საშუალო სიჩქარით (39,7 კმ საათში) განვლეს ეს მძიმე ეტაპი.

ბრწყინვალედ იასპარეზეს პოლონელებმა. მათ ყველას აჯობეს გუნდურ ჩათვლაში (13:04.16), ხოლო პირად ჩათვლაში პირველი ორი ადგილი ამ კოლექტივის წარმომადგენლებმა რ. შურკოვსკიმ (3:15.20) და ზ. ხანუშჩიკმა (3.15.56) დაიკავეს. III ადგილზეა ბელგიელი ვ. ტიერლინკი.

საბჭოთა მრბოლელთაგან ყველაზე უკეთეს შედეგს მიაღწია მშვიდობის ველორბოლის დებიუტანტმა, კუიბიშეველმა ა. გუსიატნიკოვმა.

საბჭოთა გუნდი III-VII ადგილებს იყოფს ჩეხოსლოვაკიის, გდრ-ის, რუმინეთისა და საფრანგეთის კოლექტივებთან. მათ ერთნაირი შედეგი აქვთ — 13:06.00. II ადგილზეა ბელგიის ნაკრები — 13:05.46.





## გუშინ...

გაიმართა სსრ კავშირის სა ფეხბურთო თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალის განმეორებითი მატჩები.

თბილისში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები — „ლოკომოტივი" და „დინამო". დინამოელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 4:2 და გავიდნენ მერვედფინალში. ბურთები გაიტანეს: დინამოელთაგან — პეტრიაშვილმა და გავაშელმა (2-2), ლოკომოტიველთაგან — ჭორბენაძემ და ხუციშვილმა.

მერვედფინალში გავიდა, აგრეთვე, ქუთაისის „ტორპედოც", რომელმაც შინ ანგარიშით 3:0 დაამარცხა მოსკოვის „ლოკომოტივი".

**მერვედფინალში:**

**„დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (ქუთაისი)**

## მედლები სტუმრებს ხვდათ

დუშანბე, 13 მაისი. ტაჯიკეთის ღია ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში საქართველოს ოსტატთა ორმაგი გამარჯვებით დამთავრდა. მათ ყველას აჯობეს საერთო გუნდურ ჩათვლაში, შემდეგ კი წარმატებით გამოვიდნენ პირად პირველობაში. სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი, ბათუმელი სიმელა პარფინიდი და მისივე თანაქალაქელი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი გ. სარხოიანი ამ ასპარეზობის აბსოლუტური ჩემპიონები არიან.

თავიდან სიმელამ დამაჯერებლად დაიკავა I ადგილი ქალთა ერთეულების თანრიგში, შემდეგ კი სარხოიანთან ერთად გაიმარჯვა შერეულ, და თანაგუნდელ გ. ლევინასთან ერთად — ქალთა წყვილების თანრიგში.

მინსკში ვერცხლის ორ მედალს წაიღებს ტ. რეშეტნიკი. იგი მეორე პრიზიორია ქალთა ერთეულების თანრიგში და შერეულ წყვილებში — ტაჯიკეთის წარმომადგენელთან, ოსტატ გ. წიკლაურთან ერთად.

### [illegible]

## 1976 წელს — დენვერში

ამსტერდამი, 12 მაისი. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა თავის 69-ე სესიაზე 1976 წლის თეთრი ოლიმპიადის დედაქალაქად დაასახელა დენვერი (აშშ, კოლორადოს შტატი).

## ახალი ამბები

● ბუდაპეშტი, 12 მაისი. უნგრეთის მძლეოსნებმა აქ გამართულ შეჯიბრებაში რამდენიმე მაღალ შედეგს მიაღწიეს: ქვეყნის რეკორდსმენმა მ. ნემეტმა შუბი 84,60 მეტრზე ტყორცნა. 10000 მ ლ. მეჩერმა 28 წუთსა და 49,2 წამში გაირბინა; ხ. კალოჩაი სიგრძეზე 779 სანტიმეტრზე გადახტა.

● პრაღა, 12 მაისი. მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში ნაკლებად ცნობილმა ზ. კუზილამ 214 სმ სიმაღლე გადალახა.

● დე-მოინი (აშშ), 12 მაისი. ჯ. ბენეტიმ ათჭიდში 8072 ქულა მოაგროვა. იგი პირველი მძლეოსანია, რომელმაც წლეულს 8000 ქულას გადააჭარბა.

● ულნათი, 12 მაისი. ბირთვის კვრაში მსოფლიოს რეკორდსმენმა რ. მათსონმა აქ გამართულ ტურნირში მაღალი შედეგით (21,02 მ) გაიმარჯვა. მეორე იყო ბ. ვილკელმი — 19,63 მ.

● კიევი, 12 მაისი. მძლეოსანთა საქალაქო პირველობაში ა. მაქსიმოვამ უროს ტყორცნაში საერთაშორისო კლასის შედეგი (70,56 მ) აჩვენა. სამხტომი მოიგო უკრაინის რეკორდსმენმა გ. ვოლკმა — 16,40 მ. ეს შედეგი რესპუბლიკის რეკორდზე სანტიმეტრით ნაკლებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა




**საქართველოს სტუდენტთა თამაშები**

# თბილისის ზღვაზე

ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობა თბილისის ზღვაზე გაიმართა. ბრძოლაში მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტების, თბილისის, ბათუმისა და გორის პედინსტიტუტების სპორტსმენები.

ერთმოსასმელიანი ბაიდარებით 1000 მეტრზე რბოლა მოიგო რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრმა გ. მამულაშვილმა (სპი). ორადგილიანებით შეჯიბრებაში მანვე I ადგილი დაიკავა ბ. მხეიძესთან ერთად.

ქალები 500 მეტრზე ასპარეზობდნენ. ერთადგილიანებით შეჯიბრებაში ყველას აჯობა დ. სოკოლოვამ (სპი). ორმოსასმელიანებით კი საუკეთესონი იყვნენ ნ. კობახიძე და ლ. ბერიძე (ფიზკულტურის ინსტიტუტი). ქალთა ესტაფეტა 4×500 მეტრზე მომავალმა ინჟინრებმა მოიგეს.

ერთმოსასმელიანი კანოებით შეჯიბრებაში უნივერსიადის ჩემპიონი გახდა უნივერსიტეტის გუნდის წევრი გ. მაკაროვი, რომელმაც ყველას აჯობა ორადგილიანებით ტურნირშიც. აქ მისი მეწყვილე ნ. ხაგუში გახლდათ. მაკაროვმა და ხაგუშმა მ. ბარამთან და თ. ქურდიანთან ერთად მოიგეს 4×500 მეტრზე ესტაფეტა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობა პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივს დარჩა — 108 ქულა. II ადგილზეა უნივერსიტეტის გუნდი — 82, III — ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივი — 60. სხვა უმაღლესმა სასწავლებლებმა თითო მონაწილე გამოიყვანეს და ამიტომ პრიზიორებს საგრძნობლად ჩამორჩნენ.

რესპუბლიკაში 16 უმაღლესი სასწავლებელია, მაგრამ მათმა უმეტესობამ ნიჩბოსანთა შეჯიბრებას თავი აარიდა. განსაკუთრებით გვაოცებს ის ამბავი, რომ ასპარეზობაში მონაწილეობა არ მიიღეს სოხუმის პედაგოგიური და სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტებმა. ამ ქალაქში ხომ, ისევე როგორც ბათუმში, ნიჩბოსნობის განვითარებისთვის შედარებით უკეთესი პირობები აქვთ, ვიდრე, მაგალითად, ქუთაისის, გორის, თელავის, ცხინვალისა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებს.

ტურნირს ყველაზე გულისხმიერად პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრა მოეკიდა. მართალია, ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობის განვითარებისთვის თავს მაინცდამაინც არც ამ სასწავლებელში იწუხებენ, მაგრამ უნივერსიადაში გამარჯვებისთვის თავი არ დაუზოგავთ. მაგალითად, კანოისტთა შეჯიბრებაში გამოიყვანეს სპორტის ოსტატი საბაიდარო ნიჩბოსნობაში თ. ზოიძე, რომელიც კარგა ხანია სპორტის ამ სახეობას ჩამოშორდა და წარმატებით გამოდის აფროსნობაში; სპორტის ოსტატმა ნ. მოისეევმა ერთ წელზე მეტია სპორტს თავი დაანება, მაგრამ ახლა გუნდის ინტერესებისთვის ისევ სცადა ძალა; გ. კაპანაძე საქართველოს ნაკრების წევრია აკადემიურ ნიჩბოსნობაში, მაგრამ პოლიტექნიკური ინსტიტუტის ღირსებას კანოისტთა შეჯიბრებაში იცავდა.

ვფიქრობთ, უმაღლეს სასწავლებლებში მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სპორტის ამ სახეობის დანერგვა-განვითარებას.

**მ. მნათობიშვილი,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**

# იმარჯვეს პოლიტექნიკოსებმა

უნივერსიადის გუნდური შეხვედრები ჭადრაკში მუდამ საინტერესოა, რადგან ჩვენი სახელგანთქმული მოჭადრაკეების უმრავლესობას სწორედ სტუდენტები წარმოადგენენ. ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა. ბრძოლაში ჩაებნენ მსოფლიოს ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი, სსრ კავშირის ჩემპიონი ნ. ალექსანდრია, საქართველოს ჩემპიონი ც. კახაბრიშვილი...

8 გუნდი ორ ჯგუფად განაწილდა. პირველ ჯგუფში მოხვდნენ თბილისის ა. პუშკინისა და გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური, პოლიტექნიკური და სამედიცინო ინსტიტუტების წარმომადგენლები, მეორეში — უნივერსიტეტის, ფიზკულტურის ინსტიტუტის, თბილისის უცხო ენათა და ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტების მოჭადრაკეები. თითოეულ გუნდში 3 ვაჟი და 2 ქალი შედიოდა.

პირველ ჯგუფში თავი ისახელეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოჭადრაკეებმა, რომლებმაც 10,5 ქულით I ადგილი დაიკავეს. მათ მოუგეს სამედიცინო (3,5:1,5) და თბილისის პედაგოგიური (4,5:0,5) ინსტიტუტების გუნდებს, ხოლო გორელთა გუნდთან ყაიმს დასჯერდნენ — 2,5:2,5. II ადგილი ხვდა სამედიცინო ინსტიტუტის კოლექტივს — 9,5.

უფრო მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა მეორე ჯგუფში, სადაც I ადგილს უნივერსიტეტისა და უცხო ენათა ინსტიტუტის წარმომადგენლები ეცილებოდნენ ერთმანეთს. ამ გუნდების შეხვედრა ყაიმით (2,5:2,5) დამთავრდა. ნ. გაფრინდაშვილმა (უცხო ენათა ინსტიტუტი), რომელიც ვაჟთა I დაფაზე თამაშობდა, მოუგო ოსტატ ა. ბოკუჩავას, ხოლო ნონას თანაგუნდელმა ნ. ხუბულურმა აჯობა ნ. ალექსანდრიას.

ტურნირი გუნდებმა ერთნაირი შედეგით (11,5-11,5 ქულა) დაამთავრეს. მსაჯთა კოლეგიამ მათ შორის დამატებითი შეხვედრა დანიშნა. ამჯერად უნივერსიტეტელებმა იმარჯვეს — 3:2. ბოკუჩავამ რევანში აიღო გაფრინდაშვილთან, ხოლო ხუბულურმა კვლავ მოუგო ალექსანდრიას! აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სსრ კავშირის ჩემპიონმა ორივე პარტიაში უხეში შეცდომით ფიგურა წააგო.

ამ ჯგუფში III ადგილი ბათუმის პედინსტიტუტმა დაიკავა.

უძლიერესთა გამოსავლინებლად ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ჯგუფებში გამარჯვებულები. I ადგილისთვის დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდებს შორის. ამ მატჩის შედეგი ასეთია: ბოკუჩავა — თ. გიორგაძე 1:0, ჰ. არნშტეინი — თ. კიკიანი 0,5:0,5, ვ. ვეფხიშვილი — ზ. მიქაძე 0:1, ალექსანდრია — ც. კახაბრიშვილი 0,5:0,5, ზ. შენგელია — თ. ხუგაშვილი 0:1. გაიმარჯვა სპი-ს გუნდმა (3:2), რომელმაც უნივერსიადის ჩემპიონის სახელიც დაისაკუთრა.

გთავაზობთ უნივერსიადის ერთ-ერთი ყველაზე შინაარსიანი პარტიის ფინალს.

**გიორგაძე**



**ბოკუჩავა**

ბოკუჩავა ოსტატურად იყენებს შავი ფიგურების ურთიერთმოქმედების დარღვევას. მხედრის შეწირვით იგი ანადგურებს შავი მეფის „ციხე-კოშკს".

**25. მ:g6! hg 26. ლd3 კg7 27. ე:a6** (ბრძოლის ველიდან შავი ლაზიერის გატყუებით. ამ კომბინაციის შემდეგ შავებს ალარაფერი შველით). **27. ...ლ:a6 28. ლ:g6 მf8.**

აგებს, აგრეთვე, 28. ...ლc8 29. კf6 მ:f6 30. ef ეc7 31. ეc3! ამიტომ 28. ...ეcc8, და მაინც 29. კf6 მ:f6 30. ef ლb7 31. მg5 სასიკვდილო მუქარებით.

**29. ლ:e8 ლa2 30. კh8 ეc6 31. ეe3 ლb1+ 32. მფg2 ლ:b4 33. კe7 ლc4 34. კ:f8** და შავები დანებდნენ.

III-IV ადგილებს ერთმანეთს ეცილებოდნენ თბილისის უცხო ენათა და სამედიცინო ინსტიტუტების გუნდები. იმარჯვა „ნონას გუნდმა" — 3:2.

V ადგილი ხვდათ ბათუმის, VI — გორის პედინსტიტუტს, VII — ფიზკულტურის ინსტიტუტისა და VIII — თბილისის პედინსტიტუტის კოლექტივს.

გუნდების საერთო შედეგები ცალკეულ დაფებზე შეხვედრებმა განაპირობა. ალბათ ყველაზე საინტერესო იყო თამაში მეორე ჯგუფის ვაჟთა I დაფაზე, სადაც ყველას აჯობა ნ. გაფრინდაშვილმა — 3,5 ქულა 4-დან. ბოკუჩავას გარდა მან დაამარცხა ოსტატობის კანდიდატი ლ. ნეურონოვი (ბათუმი), ჯ. ბიბილეიშვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი), ყაიმზე შეუთანხმდა ვ. ლოლაძეს (სამედიცინო ინსტიტუტი).

ქალთა I დაფაზე კარგად ითამაშა ხუბულურმა — 3,5 ქულა 4-დან. ალექსანდრიამ 2,5 ქულა დააგროვა.

მეორე ჯგუფის დანარჩენ დაფებზე I ადგილები დაიკავეს: ვაჟთა II დაფაზე — ლ. ხაბურზანიამ (უცხო ენათა ინსტიტუტი) — 3,5 ქულა, III — ვ. ვეფხიშვილმა (უნივერსიტეტი) — 3, ქალთა II დაფაზე — ზ. შენგელიამ (უნივერსიტეტი) — 3.

გაგაცნობთ პირველ ჯგუფში გამარჯვებულებს დაფების მიხედვით: I — ვ. ბედოშვილი (თბილისის პედინსტიტუტი), თ. გიორგაძე (სპი), დ. ფარლალავა (სამედიცინო ინსტიტუტი) — 2-2, II — თ. კიკიანი (სპი), რ. სიგუა (სამედიცინო ინსტიტუტი) — 2,5,-2,5, III — ზ. მიქაძე (სპი) — 3. ქალთა I დაფა: ც. კახაბრიშვილი — 2,5, II — თ. ხუგაშვილი (ორივე — სპი) — 3,5.

— მოჭადრაკეთა შეჯიბრება უთუოდ მოიგებდა, სარბიელზე სამხატვრო აკადემიის, კონსერვატორიის, თეატრალური ინსტიტუტისა და თელავის პედინსტიტუტის წარმომადგენლებიც რომ გამოსულიყვნენ, — ამბობს მთავარი არბიტრი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი გ. ოსიპოვი.

**თ. გიორგაძე.**

# მკაცრი რეგლამენტი

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ბადმინტონისტთა ძლიერმა ნაკრებმა, რომელმაც გუნდური შეჯიბრების ფინალში ანგარიშით 4:1 დაამარცხა პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი, საერთო ჩათვლაში II ადგილი დაიკავა.

მიზეზი ის იყო, რომ წინა უნივერსიადის დებულებისგან განსხვავებით, ამჯერად გუნდის საბოლოო შედეგი როგორც გუნდურ, ისე პირად პირველობაში მოპოვებულ ქულათა ჯამს უნდა გადაეწყვიტა. ამ გარემოებამ დაძაბულობა შემატა მთელს შეჯიბრებას.

უნივერსიტეტის ნაკრების წევრებმა, რომლებმაც გუნდურ ტურნირში IV ადგილი დაიკავეს (გორის პედაგოგიური ინსტიტუტის შემდეგ), პირად პირველობას თავი აარიდეს. ამ უპასუხისმგებლობის გამო მათმა კოლექტივმა კიდევ ერთი საფეხურით დაიწია. საერთო IV ადგილი დაიკავა ბათუმის გუნდმა.

ასპარეზობის გმირები მაინც პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბადმინტონისტები აღმოჩნდნენ. გუნდურ შეჯიბრებაში ფიზკულტურის ინსტიტუტთან მწარე წაგების შემდეგ მათ შეძლეს ძალის მოკრება, ორი I (გ. ბორიაკი, ვ. ვეტუხინა) და ერთი III (ც. ფილიშვილი) ადგილი დაიკავეს, რის შედეგადაც საერთო ჯამში 2 ქულით (52:50) ჩამოიტოვეს ფიზკულტურის ინსტიტუტის ნაკრები.

გორის წარმომადგენლებმა ამჯერადაც ისახელეს თავი. ც. ბენიაშვილმა ქალთა შორის III საპრიზო ადგილი დაიკავა, თ. ბლიაძემ კი ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ მისი სახით რესპუბლიკის ნაკრებს საიმედო ძალა ეზრდება. გორელები საერთო გუნდურ ჩათვლაში III ადგილზე გავიდნენ.

ასპარეზობაში მონაწილე 7 გუნდიდან ბოლო ადგილზეა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კოლექტივი. ეს მით უფრო დასანანია, რომ შეჯიბრება ტარდებოდა სწორედ ამ ინსტიტუტის სპორტულ დარბაზში, რომელსაც, როგორც ჩანს, მასპინძლები სათანადოდ ვერ იყენებენ.

არ შეიძლება სინანული არ გამოვთქვათ იმის გამოც, რომ გუნდების (ორი ვაჟი და ერთი ქალი) გამოყვანა ვერ შეძლეს თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ცხინვალისა და თელავის პედაგოგიურმა ინსტიტუტებმა.

**გ. სამსონაძე,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი.**



უნივერსიადის პროგრამით შეჯიბრებაში შესანიშნავად გამოვიდა ქუთაისის პედინსტიტუტის მშვილდოსანთა გუნდი, რომელმაც საერთო I ადგილი დაისაკუთრა. ამ სასწავლებლის სპორტსმენებმა პირად ასპარეზობაშიც ყველა დისტანციაზე გაიმარჯვეს. განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დიპლომანტი ქეთევან ლოსაბერიძე და საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის ფაკულტეტის მეორეკურსელი ა. არველაძე, რომლებმაც 4-4 დისტანციიდან 3-3 მოიგეს და აბსოლუტური ჩემპიონობაც დაისაკუთრეს. გუნდურ ჩათვლაში II ადგილზეა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ნაკრები, III — უნივერსიტეტის კოლექტივი.

**სურათზე:** ქალთა ერთი ჯგუფი „ცეცხლის ხაზზე".

*ო. გელაშვილის ფოტო.*

[illegible]

## ✦ თბილისი

ორ თვეს გაგრძელდა ოქტომბრის რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო ფრენბურთი, კალათბურთი, ხელბურთი, ტანვარჯიში და შაში. საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვეს 37-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა.

**ი. ხაბეიშვილი.**

## ✦ გორი

გაიმართა რაიონის მოსწავლეთა პირველობა კროსში. საერთო გუნდური პირველობა და განათლების განყოფილების პრიზი მოიპოვეს ატენის სკოლა-ინტერნატის წარმომადგენლებმა.

**გ. მთვარელიძე,**
**რაიონის სპორტსკოლის დირექტორი.**

## ✦ ქედა

რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით შეჯიბრებები ხუთ სახეობაში გაიმართა. ჭიდაობაში I ადგილი დაიკავა ქედის საშუალო სკოლამ. ამავე სკოლის ჭაბუკებმა ყველას აჯობეს კალათბურთსა და ხელბურთში. მაგიდის ჩოგბურთში იმარჯვეს მახუნცეთელმა მოსწავლეებმა, ჭადრაკში — მერისელებმა. კალათბურთელ გოგონათა შეჯიბრებაში გაიმარჯვეს პირველმაისელებმა, ხოლო ხელბურთელ გოგონებში — სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებმა.

**ა. ბერიძე,**
**ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.**

## ✦ მახარაძე

დამთავრდა რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები კალათბურთსა და ფრენბურთში. კალათბურთელ ჭაბუკებში პირველობა იზეიმა მახარაძის მე-2 საშუალო სკოლის გუნდმა, გოგონებში — შემოქმედელთა კოლექტივმა. ფრენბურთელ ჭაბუკთა შეჯიბრებაში ყველას აჯობა ნატანების საშუალო სკოლამ.

**ზ. ქილურაძე.**

## ✦ ქობულეთი

გაიმართა „კოლმეურნის" რაისაბჭოს XVII კონფერენცია. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა რაისაბჭოს თავმჯდომარე ო. ლექავა. კამათში გამოსულებმა ილაპარაკეს რაიონის სოფლის ფიზკულტურელთა მიღწევებსა და ხარვეზებზე. „კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია ო. ლექავა.

**ლ. ტრაპაიძე.**

## ✦ ჩხოროწყუ

გაიმართა მოსწავლეთა გუნდების პირველობა ხელბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში. ხელბურთში ყველას აჯობეს ადგილობრივი 1-ლი საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა, მაგიდის ჩოგბურთში კი ლესიჭინის 1-ლი საშუალო სკოლის სპორტსმენებმა იმარჯვეს.

**ს. ჯალაღონია.**

## ✦ გალი

ფრენბურთელ მოსწავლეთა აქ გამართულ რაიონულ შეჯიბრებაში პირველობა მოიპოვეს აჩიგვარის მე-2 საშუალო სკოლის გოგონებმა და ჭაბუკებმა.

* * *

გალის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში გაიმართა „კოლმეურნის" რაიონული შეჯიბრება ხელბურთში. დაძაბული ასპარეზობის შემდეგ პირველობა მოიპოვეს აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის სპორტსმენებმა.

**გ. ჯეჯეია.**

## ✦ გულრიფში

დამთავრდა რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ფეხბურთში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ გულრიფშისა და ბაბუშარის საშუალო სკოლების გუნდები. გაიმარჯვეს გულრიფშელებმა — 1:0.

**შ. ჯალაღონია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის!

# სიგნალები ჯერ კიდევ საგანგაშოა



შარშან გაზაფხულზე ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის მძლეოსანთა მატჩში საქართველოს გუნდმა მარცხი იწვნია. ამას ბევრი შემთხვევითობით და ბაზების ნაკლებობის გამო სპორტსმენთა სუსტი მომზადებით ხსნიდა. სხვები სინამდვილეს უფრო პირდაპირ უყურებდნენ: გულახდილად აღიარებდნენ, რომ რესპუბლიკაში „სპორტის დედოფლის" მდგომარეობა სახარბიელო ვერ არის. ეს უკანასკნელი მოსაზრება ამ ერთი წლის მანძილზე ბევრჯერ დადასტურდა. საკმარისია ითქვას, რომ წლევანდელ საგაზაფხულო რესპუბლიკურ შეჯიბრებაში, რომელიც მარტში თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა, საქართველოს ნაკრების წევრთაგანაც კი ვერავინ გამოიჩინა თავი. აღარას ვამბობთ ისეთ შედეგებზე, რომელთა მეშვეობითაც სპორტსმენებმა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში ჩასათვლელი ქულები უნდა მოიპოვონ.

საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტმა ნაკრების წევრებს ნაყოფიერი წვრთნისთვის ყველა პირობა შეუქმნა: რესპუბლიკური ტურნირის დამთავრებისთანავე მძლეოსნები ლესელიძეში გაგზავნეს სავარჯიშოდ და აი, აპრილის დამლევს მათ ისევ „ლოკომოტივის" სტადიონზე მოიყარეს თავი. აქ ტარდებოდა თბილისის თასის გათამაშება, რომელშიც სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების გუნდები მონაწილეობდნენ. თბილისის საუკეთესო მძლეოსნებიდან სარბიელზე არ გამოდიოდნენ მხოლოდ მ. ოყროშიძე, გ. გუდაშვილი და კ. გორძამაშვილი, რომლებიც იმ დროს სსრ კავშირის უძლიერეს მტყორცნელთა ტურნირში მონაწილეობდნენ.

პროგრამის 31 სახეობაში გამარჯვებისთვის ბრძოლაში ჩაება თითქმის ყველა კოლექტივი, მათ შორის, „შრომითი რეზერვებიც", რომელიც ადრე ამგვარ ტურნირებში თითო-ოროლა სპორტსმენის მონაწილეობას სჯერდებოდა. სამაგიეროდ, „განთიადს" გუნდი არ გამოუყვანია. ვერ ვიტყვით, რომ სპორტის ოსტატობის კანდიდატთა და I თანრიგის ნორმატივის შესაბამისი შედეგები ამ შეჯიბრებაში ნაკლებად იყო. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ სსრ კავშირის ხალხთა მომავალ სპარტაკიადაში ამგვარი მაჩვენებლებით სპორტსმენები არა თუ პირველ 8 ადგილზე ვერ გავლენ, არამედ საუკეთესოთა ოცეულებშიც ვერ მოხვდებიან. მართალია, 1971 წლის სტარტამდე დიდი დროა, მაგრამ, თუ სპეციალისტებს დავუჯერებთ, საქართველოდან გუნდს მხოლოდ რამდენიმე კაცი შეიძლება გამოადგეს. ესენი არიან: ვ. ხანეევი, ოყროშიძე, გუდაშვილი, გორძამაშვილი, ა. შჩერბინა, ი. დელა-როსა და კიდევ ორიოდე, რომლებიც, შეიძლება სწორედ სპარტაკიადამდე დარჩენილ დროში დაწინაურდნენ.

სადღეისოდ განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობა გვაქვს ქალთა გუნდში. ც. ჯაფარიძემ და ც. ლიპარტელიანმა ამას წინათ ნალჩიკში, სოფლის სპორტსმენთა საკავშირო ტურნირში ნაჩვენები შედეგები (რომელთა წყალობითაც იქ საპრიზო ადგილები მოიპოვეს) თბილისში 2-5 მეტრით გააუმჯობესეს, „ლოკომოტივის" სტადიონზე ბადროს ტყორცნაში ოთხმა ქალმა I თანრიგის ნორმატივს გადააჭარბა, შუბის ტყორცნაში დალი საბაურმა („ბურევესტნიკი") ზუსტად სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივით (49 მ) გაიმარჯვა, სიმაღლეზე მხტომელი ქალების შეჯიბრებაში ექვსმა მონაწილემ ოსტატობის კანდიდატისა და I თანრიგის შედეგი აჩვენა... მაგრამ ყველაფერი ეს მძლეოსნობის საკავშირო დონესთან (აღარას ვამბობთ საერთაშორისოზე) შედარებით თითქმის არაფერს ნიშნავს. აბა, რა შედარებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ამ შეჯიბრებაში გამარჯვებულმა ჯაფარიძემ ბადრო 47,34 მეტრზე ტყორცნა? ეს შედეგი რესპუბლიკურ რეკორდს თითქმის 10 მეტრით, ხოლო საკავშირო რეკორდს 13 მეტრზე მეტით ჩამორჩება.

საქართველოს მძლეოსნები სპორტული ფორმის აღდგენას უჩვეულოდ დიდხანს უნდებიან. მაგალითად, თ. მდინარაძე („ბურევესტნიკი"), რომელმაც შარშან 200 მეტრზე რბენაში სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა, წლეულს ამავე მანძილს ჯერჯერობით მხოლოდ 22,2 წამში ფარავს. მდინარაძე ნიჭიერი სპრინტერია, მას მეტიც შეუძლია, მაგრამ თანაბარი ძალის მეტოქეები არ ჰყავს და შუა დისტანციის შემდეგ ისიც ტემპს ანელებს ხოლმე.

თავიანთ საუკეთესო ფორმას ბევრად ჩამორჩებიან სსრ კავშირის ნაკრების ყოფილი წევრები ი. კოზელსკი („დინამო") და ლ. იევლევა, აგრეთვე, ჯ. ჩუბინიძე (ორივე — „სპარტაკი"), გ. სტარიჩკოვი („ლოკომოტივი"), განთიადელი ნ. საგანელიძე, რომელიც პირად შეჯიბრებაში გამოდიოდა, ნ. ლომიძე („ბურევესტნიკი")...

მაგრამ არ იქნებოდა სწორი, რომ კარგიც არ შეგვემჩნია. მაგალითად, ი. ფხაკაძემ („დინამო") პირველ დღეს 58,48 მეტრზე ტყორცნა ურო და ჭაბუკთა ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა. რეკორდი ჩაეთვალა, მაგრამ ვინაიდან პირველ დღეს ამ სახეობაში შეჯიბრება შეწყდა (სტადიონის სათადარიგო მინდორზე, სადაც უროს მტყორცნელები იბრძოდნენ, თელავის „კახეთის" მოსამზადებელი ჯგუფისა და თბილისის საფეხბურთო სკოლის გუნდების მატჩი ნახევარი საათით ვერ გადადეს), მისი მაჩვენებელი გუნდურ ჩათვლაში არ შევიდა. მეორე დღეს ფხაკაძემ თუმცა გაიმარჯვა, მაგრამ ამჯერად 56,58 მ აჩვენა. ვ. ქავთარაძემ („ბურევესტნიკი") 100 მეტრზე წინასწარ გარბენში 10,8 წამი აჩვენა, ფინალში — 10,9 და მკერდით აჯობა მდინარაძეს.

**ო. გელაშვილი.**

• • •

გამარჯვებულთა ტექნიკური შედეგები:

**ქალები.** **რბენა. 100 მ.** ნ. ლომიძე — 12,5; **200 მ.** ლ. ჭარბაძე („სპარტაკი") — 26,6; **400 მ.** ლ. კორკოტაძე („ბურევესტნიკი") — 59,9; **800 მ.** რ. შჩიკოვსკაია („ლოკომოტივი") — 2.27,0; **1500 მ.** მ. მეტრეველი („კოლმეურნე", პირადი) — 5. 09,2; **100 მ თარჯრბენი.** რ. ჩუბინიძე („განთიადი", პირადი)—15,2; **ესტაფეტა 4×100 მ.** „ბურევესტნიკი" — 51,8; **სიგრძეზე ხტომა.** იევლევა — 571 სმ; **სიმაღლეზე ხტომა.** ლ. გუკო („ბურევესტნიკი") — 155 სმ; **ბადროს ტყორცნა.** ჯაფარიძე („კოლმეურნე", პირადი) — 47,34; **ბირთვის კვრა.** ლ. ტუღუში („დინამო") — 13,34.

**ვაჟები.** **რბენა. 200 მ.** მდინარაძე — 22,2; **400 მ.** ტ. ბახტაძე („სპარტაკი")—49,3; **800 და 1500 მ.** სტარიჩკოვი — 1.59,5 და 3.59,4; **5000 მ.** ვ. ივანოვი („ბურევესტნიკი", პირადი) — 17.09.6; **თარჯრბენი 110 მ.** ვ. ფიოდოროვი (ასკ) — 14,9; **400 მ.** კოზელსკი —53,2; **ესტაფეტა 4×100 მ.** „დინამო" — 44,4; **20 კმ სპორტული სიარული.** გ. მაკეევი („ბურევესტნიკი")—1:45.47.0; **3000 მ წინაღობებით.** რ. წიკლაური („შრომითი რეზერვები") — 10. 35,6; **სიგრძეზე ხტომა.** ვ. ჩუკანოვი („ბურევესტნიკი") — 711 სმ; **სიმაღლეზე ხტომა.** თ. მდივანი—205 სმ; **სამხტომი.** ლ. დარახველიძე (ორივე — „სპარტაკი") — 15 მ; **ჭოკი.** მ. თათევოსიანი („კოლმეურნე", პირადი) — 450 სმ; **ბადროს ტყორცნა.** ვ. ტარანი („განთიადი", პირადი) — 50,20; **შუბის ტყორცნა.** ვ. რიაბინკინი („დინამო")—62,68; **ბირთვის კვრა.** ვ. მაისურაძე („ბურევესტნიკი") — 16.10.

**გუნდური ჩათვლა.** 1. „ბურევესტნიკი" — 502,5 ქულა, 2. „დინამო" — 389, 3. „სპარტაკი" — 317.

• • •

სურათზე: 200 მეტრზე რბენის მომენტი.

ავტორის ფოტო.

# გმირობისა და თავდადებისთვის

ქართველმა ხალხმა დიდ სამამულო ომში 600 ათასი მეომარი გაგზავნა. მათგან თითქმის ნახევარი შინ აღარ დაბრუნებულა. გმირების ნათელ ხსოვნას წმიდად ინახავს ჩვენი ხალხი.

შინ დაბრუნებული ვაჟკაცები გაათკეცებული ენერგიით შეუდგნენ სამშობლოს საკეთილდღეოდ შრომას. ომის ვეტერანები თავდადებით იღვწოდნენ ქარხნებსა და ფაბრიკებში, ბაღ-ვენახებსა და ჩაის პლანტაციებში, აშენებდნენ ახალ ქალაქებსა და სოფლებს, მიუვალ მთებში გაჰყავდათ გზები, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ცოდნას გადასცემდნენ მოზარდ თაობას...

დღეს გესაუბრებით ერთ იმ ადამიანზე, რომელმაც გადაიტანა ომის მძიმე წლები, ღირსეულად მოიხადა მამულიშვილური ვალი და ახლა კეთილსინდისიერად ემსახურება საყვარელ საქმეს. არ ვიცით, როგორ ფიქრობენ სხვები, მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ სერგო გიორგაძის პროფესია უაღრესად კეთილშობილური და საპასუხისმგებლოა. მართლაც, რაოდენ საამაყოა, როცა მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდა გაბარია. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ თბილისის მე-14 საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი ყოველდღე ატარებს რამდენიმე გაკვეთილს. მთავარია, რა მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით ეკიდება იგი მინდობილ საქმეს. გიორგაძე მომავალ თაობას ზრდის იმ სულისკვეთებით, რომ ფიზიკური წრთობა და რკინისებური ჯანმრთელობა მარტო პირადი კეთილდღეობის წყარო როდია. ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი ადამიანი მეტ სარგებლობას მოუტანს სამშობლოს, საზოგადოებას. ამიტომაც არის, რომ გიორგაძის ყოფილი მოწაფეები, რომლებიც საქართველოს ყველა კუთხეში მოღვაწეობენ, მადლიერების გრძნობით იგონებენ მასწავლებელს, რესპუბლიკის დამსახურებულ პედაგოგს...

ახლა, დიადი გამარჯვების 25 წლისთავის დღეებში, სერგოს ბევრი მისალოცი ბარათი მოსდის თავისი მოსწავლეებისგან, ფრონტელი მეგობრებისგან, ნაცნობ-ამხანაგებისგან.

სამამულო ომის პირველივე დღეებში ს. გიორგაძე კავშირგაბმულობის ათასეულის საექსპლოატაციო ასეულში ჩარიცხეს. სად არ უბრძოლია მამაც ჯარისკაცს: ნოვოროსიისკში, ქერჩში, ბუდაპეშტში... მისი გამჭრიახობა და თავდადება ყველგან სამაგალითო იყო.

ომის ერთი ეპიზოდი განსაკუთრებით კარგად ახსოვს სერგოს. ეს უკრაინაში მოხდა. გიორგაძე თავის ასეულთან ერთად მორიგი ბრძოლის შემდეგ პატარა სოფელში შეჩერდა. რამდენიმე დღის მანძილზე არც სერგოს და არც მის თანამებრძოლებს თითქმის თვალი არ მოუხუჭავთ. დაღლილ-დაქანცულებმა თავი ერთ დანგრეულ სახლს შეაფარეს. ფრთხილი ძილით ეძინათ. შუაღამე გადასული იყო, როცა სერგო ასეულის მეთაურმა გააღვიძა და სასწრაფო დავალება მისცა. გიორგაძეს უმოკლეს ხანში უნდა აღედგინა სატელეფონო ხაზი. აქ დაწვრილებით აღარ მოვყვებით, რამდენი ხიფათი და დაბრკოლება გადაელობა მეკავშირეს, ვიდრე საგანგებო დავალებას პირნათლად შეასრულებდა. ამ ოპერაციის ჩინებულად განხორციელებისთვის იგი დიდების ორდენით დააჯილდოვეს.

გავიხსენოთ კიდევ ერთი ასეთი ეპიზოდი: ჩვენს ჯარებს გააფთრებული ბრძოლა ჰქონდათ უნგრეთის განთავისუფლებისთვის. საბჭოთა არმიამ დუნაი გადალახა. საჭირო იყო კავშირის დამყარება მდინარის ორ სხვადასხვა ნაპირზე მყოფ ჯარის ნაწილებს შორის. ეს საქმე გიორგაძესა და მის ათეულს დაავალეს. ნავში, რომელიც ნაპირისკენ მიიკვლევდა გზას, ოთხნი ისხდნენ: სერგო და ათეულის სამი მებრძოლი. ირგვლივ ტყვიები ზუზუნებდა, სკდებოდა ჭურვები, ქროდა ცივი, გამჭოლი ქარი... სერგომ და მისმა თანამებრძოლებმა მაინც მიაღწიეს მეორე ნაპირს და საპასუხისმგებლო დავალება შეასრულეს.

დიდ სამამულო ომში გამოჩენილი გმირობისა და თავდადებისთვის სერგო გიორგაძეს მიღებული აქვს რამდენიმე საბრძოლო ჯილდო, მედალი „მამაცობისთვის", დიდების ორი ორდენი და სარდლობის მადლობა.

**ა. სოსელია,**
**თადარიგის კაპიტანი.**

საინტერესო თემაზე

# შექსპირი და... ფეხბურთი

„მეფე ლირში" მოხუცი მონარქის ერთგული ვასალი კენტი უმადურ გონერილას ბურთის მოთამაშეს ეძახის და ამით გამოხატავს თავის გულისწყრომას. ამ ტრაგედიის პრემიერა 1606 წელს შედგა და შექსპირის ტექსტი ზუსტად ასე ჟღერდა: „იუ ბეიზ ფუტბალ პლეა" (საძაგელო ფეხბურთის მოთამაშევ!).

დიდი შექსპირის ეპოქაში ფეხბურთი არსებობდა. ეს უკვე პოპულარული თამაში იყო, რადგან 1314 წელს ედუარდ III ედიქტით აიკრძალა დიდი ბურთებით გართობა. ურჩებს დატუსაღებით ემუქრებოდნენ. 1349 წელს ედუარდ III ფეხბურთი მშვილდოსანთა ხელოვნების დაცემის მიზეზად გამოაცხადა. ფეხბურთს თამაშობდნენ ქუჩებში და გამარჯვებულად ის ითვლებოდა, ვინც ბურთს მეტოქის ქვაფენილამდე მიიტანდა. 1583 წელს სტაბისი წერდა, რომ ფეხბურთელთა თამაშის შედეგი იყო „დამტვრეული ფეხები, გატეხილი ხერხემალი, ამოკაწრული თვალები". XVI საუკუნეში ლონდონში ფეხბურთი ყმების თამაში იყო. კაცს რომ ფეხბურთის მოთამაშეს დაუძახებდნენ, ეს შეურაცხყოფად ითვლებოდა.

სამაგიეროდ, ჩოგანბურთი XVI საუკუნის ინგლისში კეთილშობილთა თამაში იყო. ჩოგბურთის ამ წინაპარს ლა მანშის ორივე მხარეზე დიდ პატივს სცემდნენ. შექსპირის „ჰენრიხ V", რომელიც 1598 წელსაა დაწერილი, საფრანგეთის ელჩმა ინგლისის ხელმწიფეს საფრანგეთის ტახტის მემკვიდრის სახელით საჩუქარი გადასცა. ჰენრიხ V მას ეკითხება: „ეს რა არის?" ელჩი მიუგებს: „ჩოგანბურთის ბურთები". ინგლისის ხელმწიფე ამბობს: „დიდი მადლობელი ვარ ამ საჩუქრისთვის, მადლობელი ვარ გარჯისთვის. თუ ჩვენი ჩოგნებით თქვენს ბურთებს შევეგუეთ, მაშინ ერთ პარტიას გავითამაშებთ".

მაუდისგან ნაკეთები ფრანგული ბურთები ინგლისურზე უკეთ ხტოდნენ და ამიტომ უპირატესობას მათ ანიჭებდნენ. სხვათა შორის, შექსპირის დროს დამკვიდრდა სიტყვა ჩოგბურთი.

ელისაბედ I ხელისუფლების წლებში ჩოგანბურთის სათამაშო საგანგებო სახლები არსებობდა. „ჰამლეტში" (II აქტი, სცენა I) პოლონიუსი ამბობს, რომ მისი ვაჟი შეიძლება ჩოგანბურთს თამაშობდეს. ეს აზნაურთა ერთადერთი გასართობი როდი იყო. შექსპირი მიგვანიშნებს ბილიარდზე (ოღონდ მაშინ ბილიარდს კარგად დატკეპნილ მიწაზე თამაშობდნენ და არა მაგიდაზე). „ანტონის და კლეოპატრაში" (აქტი II, სცენა V) ეგვიპტის დედოფალი ამბობს: „ახლა კი ბილიარდი!" XVI საუკუნის მიწურულს ბილიარდი საკმაოდ დამღლელი თამაში იყო. ძალიან მძიმე იყო იარაღი, რომლითაც ბურთებს ურტყამდნენ.

მაგრამ შექსპირს ყველაზე მეტად ფარიკაობა უყვარდა. იმ კვარტალთან ახლოს, სადაც დიდი დრამატურგი ცხოვრობდა, იტალიელი მასწავლებელი სავიალო მსურველთ ფარიკაობის გაკვეთილებს აძლევდა. შეიძლება შექსპირმა სწორედ მისგან შეიტყო მოფარიკავეთა შეჯიბრების წესები, რომლებიც „ჰამლეტშია" (V აქტი) აღწერილი. ჰამლეტი და ლაერტი რაპირებით იბრძვიან. ეს იყო მძიმე იარაღი არც ისე ბასრი პირით, რომელსაც ოდნავ ხორკლიანი წვერი ჰქონდა. ასეთ წვერზე საწამლავის წასმა ძალიან ადვილი იყო. ჩვეულებრივ, ასეთი იარაღით ღრმა ჭრილობის მიყენება არ შეიძლებოდა. ჰამლეტი და ლაერტი მარცხენა ხელზე ტყავის ხელთათმანს იკეთებდნენ. ჰამლეტმა ორჯერ დაჰკრა ლაერტს, მან კი ერთხელ უჩხვლიტა ჰამლეტს მოწამლული იარაღით.

ფეხბურთი, ჩოგანბურთი, ბილიარდი, ჭიდაობა, ფარიკაობა... დიდმა ინგლისელმა მწერალმა იცოდა თავის ნაწერებში ამ სახეობების გამოყენება.

**გაზეთი „იუმანიტე" (პარიზი).**



△ ვარშავა. მთის მდინარე დუნაეცზე წყლის სლალომში 29-ე საერთაშორისო შეჯიბრება დიდ ინტერესს იწვევს. იმის გამო, რომ ეს ტურნირი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ასპარეზობაა, სტარტზე გამოსვლის სურვილი 188 ნიჩბოსანმა გამოთქვა.

△ დელი. ინდოეთის მთავრობამ თავის ქვეყანაში სპორტის განვითარებისთვის წლეულს 13,3 მილიონი რუპი-ა გამოჰყო, რაც შარშანდელზე 8,3 მილიონით მეტია. ამ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარდება სპორტის ეროვნული ინსტიტუტისა და ფიზკულტურის სხვა უმაღლესი სასწავლებლების საქმიანობის გაუმჯობესებას.

△ მადრიდი. ევროპის ჩემპიონის წოდებისთვის აქ ერთმანეთს შეხვდნენ მძიმე წონის პროფესიონალი მოკრივეები ხ. მანუელი (ესპანეთი) და პ. ვილანდი (გფრ). ნოკაუტით გაიმარჯვა ესპანელმა.

△ რომი. ბუზის წონის პროფესიონალი მოკრივეების ფ. ზურლოსა (იტალია) და ჯ. მაკლუსკის (ინგლისი) 15-რაუნდიანი შეხვედრა ევროპის პირველობაზე ქულებით მოიგო იტალიელმა.

△ ტოკიო. საინტერესო იყო ქვემძიმე წონის პროფესიონალი მოკრივეების ი. ნუმატასა (იაპონია) და რ. ბარიენტოს (ფილიპინები) ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის. ქულებით გამარჯვება იაპონელს დარჩა.

△ ლიეჟი. ბელგიელმა ე. მერქსმა წლეულს მეორე მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა ველორბოლაში, რომლის მარშრუტი იყო ლიეჟი — ბასტონი — ლიეჟი. 255 კმ მან 5 საათსა და 49 წუთში დაფარა.

△ ბონი. გფრ-ის, შვეციის, ინგლისის, ჰოლანდიის, საფრანგეთისა და იტალიის მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრებაში ყველას აჯობეს მასპინძლებმა — 111 ქულა. II ადგილზე გავიდნენ შვედები (95 ქულა), III — ინგლისელები (92).

△ ლაურენსი. ამერიკელ მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში ბრაუნი 219 სმ სიმაღლეზე გადახტა. კარლოსმა 100 იარდი წვიმიან ამინდში 9,3 წამში გაირბინა. ბირთვის კვრაში საუკეთესო იყო მათსონი — 20,77 მ.



სურათზე: რ. მათსონი შეჯიბრების დროს.

## სსრ კავშირის IX პირველობა ხელბურთში

# IV ადგილზე გადაინაცვლეს

როგორც ცნობილია, აპრილში თბილისის სპორტის სასახლეში სტარტი მიეცა ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატს. მაშინ თბილისში გუნდებმა პირველი წრის 3-3 შეხვედრა გამართეს, სამკვირიანი შესვენების შემდეგ კი ამ წრის დასკვნითი ტური ზაპოროჟიეში გაითამაშეს. თბილისის „ბურევესტნიკმა" შინ 3 შეხვედრიდან 2 მოიგო, 1 წააგო და 4 ქულით გათამაშების ცხრილში II ადგილზე იყო. ზაპოროჟიეში თბილისელებმა 4 შეხვედრიდან 2 მოიგეს და 2 წააგეს. ისინი დამარცხდნენ ცსკასთან (16:20) და მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის კოლექტივთან (20:24), ხოლო გაიმარჯვეს ზაპოროჟიეს მეტალურგიული ინსტიტუტის გუნდთან (19:15) და „ალუმინსტროისთან" (20:16).

მეორე წრის მატჩები გაიმართება მოსკოვში 17-25 მაისს. მესამე და მეოთხე წრის შეხვედრები აგვისტო-ოქტომბერში ჩატარდება.

ზაპოროჟიეში დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „სტრაუმე" (რიგა, ყოფილი „დაუგავა") — საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) 19:23, „უნივერსიტეტი" (კრასნოდარი, ყოფილი „ბურევესტნიკი") — ზმეტი (ზაპოროჟიეს მეტალურგიული ინსტიტუტი, ყოფილი „ბურევესტნიკი") 18:11, „კუნცევო" (მოსკოვი) — „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) 19:16, საავიაციო ინსტიტუტი — „უნივერსიტეტი" 22:21, ცსკა — „კუნცევო" 17:24, „ალუმინსტროი" — „სტრაუმე" 16:19, „სტრაუმე" — ცსკა 18:18, „კუნცევო" — ზმეტი 14:14, „უნივერსიტეტი" — „ალუმინსტროი" 19:19, საავიაციო ინსტიტუტი — „კუნცევო" 19:19, „უნივერსიტეტი" — ცსკა 27:20, ზმეტი — „სტრაუმე" 26:20.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა I წრის შემდეგ

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) | 7 | 6 | 1 | 0 | 149—128 | 13 |
| „კუნცევო" (მოსკოვი) | 7 | 4 | 2 | 1 | 126—114 | 10 |
| „უნივერსიტეტი" (კრასნოდარი) | 7 | 4 | 1 | 2 | 140—130 | 9 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 7 | 4 | 0 | 3 | 137—127 | 8 |
| ზმეტი (ზაპოროჟიე) | 7 | 2 | 2 | 3 | 119—123 | 6 |
| ცსკა | 7 | 2 | 2 | 3 | 134—148 | 6 |
| „სტრაუმე" (რიგა) | 7 | 1 | 1 | 5 | 122—138 | 3 |
| „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) | 7 | 0 | 1 | 6 | 113—132 | 1 |

# რეგბი კორექტული თამაშია

საქართველოს პირველობა რეგბიში დასასრულს უახლოვდება. გუნდებმა შეხვედრათა უმრავლესობა უკვე გამართეს, მაგრამ სატურნირო ცხრილში მაინც საკმარისი გაურკვევლობაა. როგორც მოსალოდნელი იყო, „ლოკომოტივმა" და „დინამომ" ყველა მეტოქესთან დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს და ახლა თბილისის ეს გუნდები ერთმანეთში გაარკვევენ საქართველოს ჩემპიონის ვინაობას.

განვლილ ტურებში „ლოკომოტივმა" დაამარცხა ქუთაისელები (29:3) და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი (38:3). „დინამომ" მოუგო პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდსა (54:3) და „ელმავალს" (46:6).

მთავარი ბრძოლები III საპრიზო ადგილისთვის მიმდინარეობს. სპი, „ელმავალი", „სპარტაკი" და „განთიადი" ერთმანეთში გაითამაშებენ დარჩენილ ადგილებს. გარკვეულია აუტსაიდერის ვინაობა. ესაა საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი — ქუთაისის „დინამო", რომელსაც ჯერ არც ერთი შეხვედრა არ მოუგია.

— შეხვედრები „ისნის" სტადიონზე დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობს, — გვეუბნება ჩემპიონატის მთავარი მსაჯი გ. მრელაშვილი. — გუნდები კომბინაციურად, გააზრებულად თამაშობენ. წინა ჩემპიონატებთან შედარებით თამაშის კლასი უდავოდ ამაღლდა. გაიზარდა გუნდების ტაქტიკური და ტექნიკური მომზადების დონე. მოთამაშეები მეტოქის კარის აღების უმცირეს შესაძლებლობასაც კი იყენებენ. ქულათა უმეტესობა მოპოვებულია საჯარიმო და არეკნითი დარტყმების შედეგად.

თამაშები ტარდება რეგბის საკავშირო ფედერაციის მიერ დამტკიცებული ახალი წესებით, რომელიც მოთამაშეთა უმრავლესობამ სწრაფად აითვისა. რაც მთავარია, — აღნიშნავს მთავარი მსაჯი, — შეხვედრები მიმდინარეობს კორექტულად, წესების დაურღვევლად. ეს იმანაც განაპირობა, რომ პირველ მატჩში შენიშნული უხეშობა უყურადღებოდ არ დარჩენილა.

სომხეთის ჩემპიონის — თბილისის „სპარტაკისა" და საქართველოს ჩემპიონის — ქუთაისის „დინამოს" შეხვედრაში ანგარიში ქუთაისელთა კაპიტანმა ნ. ჭეიშვილმა საჯარიმო დარტყმით გახსნა. რამდენიმე წუთის შემდეგ სპარტაკელმა მ. ქღენტმა წონასწორობა აღადგინა — 3:3. ბოლო წუთზე ახლა უკვე სპარტაკელთა კაპიტანმა თ. ანდღულაძემ გამოიჩინა თავი — 6:3.

მეორე ტაიმში განსაკუთრებით აქტიურობდა სომხეთის ჩემპიონატში საუკეთესო რეგბისტად აღიარებული ა. კიკალიშვილი. მან ქუთაისელთა ჩათვლის მოედანზე დადო ბურთი, რეალიზაცია კი კარგად გამოიყენა თ. ანდღულაძემ — 11:3.

თამაში „სპარტაკის" ნახევარზე გადავიდა. და აი, ჭეიშვილმა ზედიზედ ორჯერ საჯარიმო დარტყმით ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა. ქუთაისის გუნდმა მეტი ვერაფერი შეძლო. სამაგიეროდ, მისი მცველების შეცდომით კარგად ისარგებლა სპარტაკელმა ჯ. შენგელიამ, რომელმაც მეტოქის ჩათვლის მოედნის ცენტრში დადო ბურთი. ანდღულაძემ ისევ ზუსტად გამოიყენა რეალიზაცია. საბოლოოდ — 16:9.

მატჩის საუკეთესო მოთამაშეებად აღიარეს ორივე გუნდის კაპიტნები ჭეიშვილი და ანდღულაძე, რომლებმაც თავიანთ გუნდებს 9-9 ქულა შესძინეს.

„ელმავლის" რეგბისტებმა ანგარიშით 13:5 დაამარცხეს საპრიზო ადგილის ერთ-ერთი პრეტენდენტი „განთიადი", ამიტომ პოლიტექნიკური ინსტიტუტის რეგბისტებთან მათი შეხვედრის შედეგს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. პირველ ტაიმში სპი დაწინაურდა. გ. ნიკოლაძის საჯარიმო დარტყმების წყალობით გატანილ ორ გოლს „ელმავალმა" მხოლოდ ერთით უპასუხა — 3:6.

მეორე ნახევარი „ელმავლის" მძაფრი შეტევებით დაიწყო. 45-ე წუთზე დ. კილასონიას მიერ დარტყმული ბურთი ოდნავ სცდება სტუდენტთა კარს. მომავალი ინჟინრები ნერვიულობენ, მეტოქეს თამაშის გაშლის შესაძლებლობას აძლევენ. „ელმავლის" რეგბისტებმა რამდენჯერმე ვერ გამოიყენეს ხელსაყრელი მომენტი.

ერთ-ერთი საჯარიმოს გათამაშების შემდეგ ვ. კორნეევმა სპი-ს ჩათვლის მოედანზე ბურთი დადო, მაგრამ შეხვედრის მსაჯმა ს. მელითაურმა გოლი არ ჩათვალა, ვინაიდან „ელმავლის" ერთ-ერთი მოთამაშე თამაშგარე მდგომარეობაში იყო. ტაიმის ბოლოს სტუდენტებმა რიცხობრივი უპირატესობა მიიღეს (ტრავმის გამო მინდორი დატოვა თ. მურღულიამ) და ჯერ დ. სიკინჭილაშვილმა მოახერხა „ელმავლის" ჩათვლის ნახევარზე ბურთის დადება, შემდეგ კი ნიკოლაძემ არეკნით დარტყმით ანგარიში გაზარდა — 12:3. სტუდენტმა რეგბისტებმა III საპრიზო ადგილისთვის ბრძოლაში მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს.

რ. აიწურაძე.

# 16 ფინალისტის საქმენი



მეხიკო, 12 მაისი. დორტმუნდის „ბორუსიასთან" წაგების (1:2) შემდეგ მექსიკის ფეხბურთელთა ნაკრები პირდაპირ კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა. „ჩვენ პესიმიზმმა მოგვიცვა, — წერს გაზეთი „დია". — ფეხბურთელებს ახე მივმართავთ: „გაიღვიძე, ნაკრებო!" დასავლეთგერმანული გუნდის მწვრთნელმა განაცხადა: „მექსიკელი ფეხბურთელები საჭირო ურთიერთშეთანხმებას არ ამჟღავნებენ, თანაც უხეიროდ ურტყამენ კარში." სამაგიეროდ, ამ მატჩის დამსწრე სალვადორის ნაკრების მწვრთნელის თანაშემწემ თქვა, რომ მექსიკელები არც ისე ცუდად თამაშობდნენ. მისი აზრით, საჭიროა მხოლოდ „მაყურებლებმა კი არ უსტვინონ თავიანთ ფეხბურთელებს, არამედ ყოველნაირად მხარი დაუჭირონ და გაამხნევონ".

კიტო, 12 მაისი. მართალია, ადგილობრივმა „დეპორტივომ" წააგო თამაში ურუგვაის ნაკრებთან (1:2), მაგრამ ექსპერტთა უმრავლესობა სტუმრებს აკრიტიკებს. ურუგვაელები დაღლილი ჩანდნენ და მათი ოდესღაც მტკიცე დაცვა ხშირად ცდებოდა. ეკვადორიდან ურუგვაის ნაკრები ბოგოტას გაემგზავრა, სადაც კიდევ ერთ მატჩს ჩაატარებს და მხოლოდ ამის შემდეგ ჩავა მეხიკოში.

# დამფუძნებელ კრებაზე

ნაირობი. კენიის დედაქალაქში გამართულ დამფუძნებელ კრებაზე შეიქმნა აფრიკის ბალახის ჰოკეის ფედერაცია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა, უგანდა, ნიგერია, ზამბია, მალავი, ტანზანია და კენია. პრეზიდენტად არჩეულია პ. ბოი (კენია). ფედერაციის დადგენილებით, თუ გფრ-ის ჰოკეისტები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და როდეზიის გუნდებთან აგვისტოში დაგეგმილ მატჩებს გამართავენ, აფრიკის ფედერაციაში შემავალი ქვეყნები გფრ-თან ყოველგვარ სპორტულ კავშირს გაწყვეტენ.

# ბესტს „ეხმარება"... ბავშვი

ბრიტანული ფეხბურთის ვარსკვლავი ჯ. ბესტი თავშეუკავებლობითაცაა ცნობილი. იგი ხშირად ეკამათება მსაჯებს და მინდვრის დატოვებაც ბევრჯერ უწევს, ამას გარდა, მოზრდილ ფულად ჯარიმებსაც იხდის. რა თქმა უნდა, ბესტს — ინგლისის ლიგაში ერთ-ერთ ყველაზე ძვირად ღირებულ ფეხბურთელს — არ უჭირს ამ ფულის გადახდა, მაგრამ ჯარიმებს ხომ უფრო მორალური მნიშვნელობა აქვს.

და აი, ამას წინათ ბესტი ერთხელ კიდევ დააჯარიმეს. ფეხბურთელმა ბარათი მიიღო... 10 წლის ბავშვისგან. ბარათში მცირეოდენი ფულიც იყო. „მისტერ ბესტ! — წერდა მცირეწლოვანი გულშემატკივარი, — მე მწუხარებით შევიტყვე, რომ თქვენ დაგაჯარიმეს. გიგზავნით ფულს, რაც კი გამაჩნია, რათა ჯარიმა მალე გადაიხადოთ".

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

### თბილისის სპორტული

სამბო. ფალავანთა კლუბი. 14-15 მაისი. უნივერსიადის პროგრამით. დასაწყისი 12 ს.

ცურვა. „ლოკომოტივის" აუზი. 14-15 მაისი. უნივერსიადის პროგრამით. დასაწყისი 12 ს.

ფრენბურთი. სპი-სა და პედინსტიტუტის დარბაზები. 14-17 მაისი. უნივერსიადის პროგრამით. დასაწყისი 17 ს.



საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის ზამთრის საცურაო აუზში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49-ბ) დამატებით გაიხსნა ბავშვთა, ქალთა და ვაჟთა სპეციალური ფასიანი სააბონემენტო ბამაჯანსაღებელი ჯგუფები ცურვაში.

მსურველებს შეუძლიათ ვარჯიშისთვის აირჩიონ ნებისმიერი დრო 7-დან 22 საათამდე.

აბონემენტის შესაძენად საჭიროა მოქალაქემ იცოდეს ცურვა და წარმოადგინოს ჯანმრთელობის ცნობა პოლიკლინიკიდან.

აუზის ტელეფონებია 22-61-00, 22-77-59 და 22-55-40.

აუზის დირექცია.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 08183